საქ. სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა
7982
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП(б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 15 ოქტომბერი 1941 წ. № 244 (6249) ფასი 15 კაპ.

გავაძლიეროთ მტრისადმი წინააღმდეგობა

ბოროტი და ვერაგი მტერი, რომელმაც თავი მოუყარა მთელ თავის რეზერვებს, შემოტევას განაგრძობს და უშუალოდ ემუქრება ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებს. სამამულო ომის ფრონტებზე დღედაღამ სწარმოებს მედგარი ბრძოლები, განსაკუთრებით დაძაბული ბრძოლები—ვიაზმისა და ბრიანსკის მიმართულებებით. მრავალი დღის მედგარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ქ. ბრიანსკი დასტოვეს. მტერს უდიდეს ზარალს აყენებენ წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც გმირულ წინააღმდეგობას უწევენ ჰიტლერის ურდოებს. გერმანიის სარდლობა სულ ახალ-ახალ ნაწილებს ჰგზავნის ბრძოლაში. ფრონტის ზოგიერთ უბანზე მტერმა რიცხობრივ უპირატესობას მიაღწია და მან ადამიანთა და იარაღის სახით უდიდესი ზარალის ფასად ამ უბნებზე შეავიწროვა ჩვენი ჯარი და სოლივით შემოიჭრა ჩვენი თავდაცვის განლაგებაში. მტერი გააფთრებული შეუპოვრობით მოძვრება წინ და ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, დაზამთრებამდე მიაღწიოს თუნდაც დროებითს წარმატებას.

პირსისხლიან კაციჭამია ჰიტლერს ცდა არ შეუძლია. დღითიდღე სულ უფროდაუფრო ძლიერ ბობოქრობს ხალხის რისხვა ოკუპირებულ ქვეყნებში. შიშით ხვდება გერმანიის მოსახლეობა ომის მესამე ზამთარს, რომელსაც სიცივე და შიმშილი მოაქვს. დღითიდღე მტკიცდება და იზრდება ანტიჰიტლერული კოალიციის ძალები. ჰიტლერელთა ბანდამ ყველაფერი სასწორზე დასდო და ეს სასწორი აუცილებლად ჩვენს მხარეზე უნდა გადმოვხაროთ.

პირველი შემთხვევა როდია ჩვენი ხალხის ისტორიაში, როდესაც იგი მამაცურად და მტკიცე იმედით უსწორებს თვალს საშიშროებას. ცოტა განსაცდელის გადატანა კი არ მოუხდა ჩვენს სამშობლოს. და იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ყოველგვარი განსაცდელიდან. ვინაიდან აურაცხელია ძალები საბჭოთა ხალხისა, რომელიც იცავს თავის დიად სამშობლოს, თავის სიცოცხლეს, მომავალ თაობათა ბედნიერებას.

სამოქალაქო ომის წლებში ჩვენმა სამშობლომ, დამშეულმა და განაწამებმა, შესძლო გაენადგურებინა თავით ფეხამდე შეიარაღებულ დამპყრობელთა ურდოები. „ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, — აღნიშნავდა დიდი ლენინი,—რომ მთელი მუშათა კლასისა და მთელი გლეხობის საუკეთესო ადამიანებმა უმაგალითო გმირობა გამოიჩინეს ექსპლოატატორებთან წარმოებულ ამ ომში, სიმამაცის სასწაულებს ახდენდნენ, აუწერელ გაჭირვებას იტანდნენ, თავს სწირავდნენ, დაუნდობლად აძევებდნენ თავკერძებსა და ლაჩრებს“.

დიდია ის საფრთხე, რომელიც თავს დასტრიალებს ჩვენს სამშობლოს. ქარაფშუტობა იქნებოდა არ დაგვენახა ყოველივე ეს. ყოველგვარი უდარდელობა, ყოველგვარი უზრუნველობა, მშვიდობიანი განწყობილების ყოველგვარი ნაშთები გადაჭრით უნდა იქნას უკუგდებული. არ უნდა იყოს არავითარი პანიკა, არავითარი დაბნეულობა! საფრთხის შეგნებამ უნდა გააასკეცოს თვითეული საბჭოთა ადამიანის ძალები და სიმტკიცე.

ჰიტლერელთა ურდოები თავიანთი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამების გორებზე გადმოდიან; მათი გზა მოფენილია ფაშისტთა ათობით და ასობით განადგურებული ტანკებით, თვითმფრინავებით, ქვემეხებით. როგორც საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს 12 ოქტომბრის საღამოს ცნობაშია ნათქვამი, არასრული ცნობებით, გუშინდელი დღის განმავლობაში ფრონტის დასავლეთის მიმართულებით, დაძაბული ბრძოლების დროს მოსპობილია გერმანელთა 90-მდე ტანკი, 270 ავტომანქანა მტრის ცოცხალი ძალითა და საომარი მასალებითურთ, სხვადასხვა ყალიბის 62 ქვემეხი და დიდძალი დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევი. ერთი დღის განმავლობაში გერმანელებმა 12 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მაგრამ მტერი ჯერ კიდევ არ არის შეჩერებული. იგი მთელი ძალით მოიწევს საბჭოთა კავშირის გულისაკენ—მოსკოვისაკენ. ჩვენი ჯარების დასახმარებლად, რომლებიც ფაშისტი მტარვალების შემოტევას აკავებენ, მოდიან რეზერვები. წითელი არმიის მეომრებო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცავით მშობლიური მიწა-წყალი ჰიტლერული მკვლელებისაგან! ახლა, უწინდელზე უფრო მეტად, ბოლომდე უნდა მოიხადოთ თქვენი წმინდა ვალი სამშობლოს წინაშე. ჰიტლერელთა ურდოების ახლანდელი შემოტევისათვის წინააღმდეგობის გაწევა იმას ნიშნავს, რომ ფაშისტ მხეცს მოჰკვეთო სისხლიანი ტორი, რომელიც მან მილიონობით საბჭოთა ადამიანების თავზე აღმართა.

ფაშისტ ავაზაკებს სიკვდილი და დამონება მოაქვთ. ისინი საშინელ მხეცობას სჩადიან ჩვენს მიწა-წყალზე. ისინი სპობენ ჩვენს აყვავებულ ქალაქებსა და სოფლებს. უსაზღვროდ სისხლმოწყურებულნი, ისინი არ ჩერდებიან არავითარი ბოროტმოქმედების წინაშე.

სსრ კავშირის მეცნიერთა ანტიფაშისტურ მიტინგზე, რომელიც გუშინ შესდგა მოსკოვში, გაისმოდა არამზადა ფაშისტ მკვლელთადმი მრისხანებისა და ზიზღით აღსავსე მგზნებარე სიტყვები, მთელი იმ საფრთხის ნათელი შეგნებით გამსჭვალული სიტყვები, რაც ჩვენს სამშობლოს ემუქრება, ამასთან ერთად ჩვენი გამარჯვების, გაველურებასა და სიკვდილზე კულტურისა და სიცოცხლის გამარჯვების მტკიცე რწმენით გამსჭვალული სიტყვები.

„ჩვენს მხარეზეა სიმართლე, — ნათქვამია უხუცესი რუსი მეცნიერის—სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ, აკადემიკოს ვ. ლ. კომაროვის გამოსვლაში,— ჩვენს მხარეზეა ძალა, ჩვენს მხარეზეა დიდ სახელმწიფოთა აურაცხელი რესურსები, ჩვენს მხარეზეა თავისუფალი, ყოვლისშემძლე მეცნიერული გენიის უსაზღვრო ძლიერება“.

საბჭოთა მეცნიერების ანტიფაშისტურმა მიტინგმა მოწოდებით მიმართა მთელი მსოფლიოს მეცნიერებს, ინტელიგენციას — დარაზმონ თავიანთი ძალები ჰიტლერიზმის—კულტურისა და მეცნიერების უბოროტესი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თავიანთ მიმართვაში საბჭოთა მეცნიერები სწერენ:

„ჩვენ მივმართავთ მთელი მსოფლიოს მეცნიერებს იმ დროს, როდესაც ჰიტლერის სამხედრო მანქანის დარტყმის მთელი სიმძიმის გადატანა საბჭოთა ხალხს უხდება, როდესაც მისი ქალაქები ისპობა, მოსახლეობა ძარცვასა და საშინელ ძალადობას, აბუჩად აგდებას განიცდის, როდესაც გიგანტურ ფრონტზე გააფთრებულ ბრძოლებში სწყდება საკითხი—თავისუფალნი იქნებიან თუ არა სსრ კავშირის, ინგლისის და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები, რომელთაც ფაშიზმი ემუქრება, თავისუფალნი იქნებიან თუ არა საფრანგეთის ხალხი და ფაშისტთა მიერ დამონებული სხვა ქვეყნების ხალხები“.

საბჭოთა ხალხს ჰყავს მძლავრი არმია, რომელიც ძლიერია ხალხის საყოველთაო მხარდაჭერით. თვითეული მოქალაქე, რომელსაც იარაღის ხმარება შეუძლია, სამშობლოს პირველი მოწოდებისთანავე უნდა ჩადგეს მის დამცველთა რიგებში. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც ახლა საყოველთაო სამხედრო სწავლებას გადიან, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაეუფლონ მომაკვდინებელ იარაღს, რათა შემუსრონ მტერი. გავაძლიეროთ ორგანიზებულობა და დისციპლინა საყოველთაო სამხედრო სწავლების რაზმებში! მეტი სიბეჯითე და სიმტკიცე გამოვიჩინოთ საბრძოლო იარაღის — გამარჯვების იარაღის დაუფლებაში!

საბჭოთა ხალხს აქვს მძლავრი მრეწველობა, რომელიც ჩვენს მებრძოლებს აწვდის ტანკებს, თვითმფრინავებს, არტილერიას, ყოველგვარი სახის თანამედროვე საჭურველს. ჩვენს სამშობლოს მოეპოვება საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო მდიდარი მაღალნაყოფიერი სოფლის მეურნეობა, რომელიც სასურსათო რესურსებს აწვდის ფრონტსა და ზურგს. მუშებო და ინჟინრებო, კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, მთელი თქვენი ძალღონე მოახმარეთ მტრის განადგურებას! ახლა უწინდელზე უფრო მეტად, თვითეული კოლექტივი და თვითეული საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია იმუშაოს სრული სიმძლავრით, მთელი თავისი ძალების დაძაბვით. ყველაფერი, რაც უშუალოდ ომს არ ემსახურება, უნდა გადაიდოს, რათა მთელს ძალებსა და საშუალებებს თავი მოვუყაროთ იქ, სადაც ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილება იჭედება.

დიდი და პასუხსაგებია პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დასახული ამოცანები. ამ მრისხანე ჟამს ლენინ-სტალინის პარტია კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავს თავის რიგებს, კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს თავის კავშირს მშრომელთა უფართოეს მასებთან. კომუნისტებო და კომკავშირელებო, ჩადექით მებრძოლთა პირველ რიგებში! უჩვენეთ სიმტკიცისა და უშიშრობის, სიმედგრისა და თავგანწირვის მაგალითი! 22 წლის წინათ, როდესაც მტრის ბანდები წითელი პიტერს—ოქტომბრის რევოლუციის აკვანის გარეუბნებს უახლოვდებოდნენ, ლენინი „პეტროგრადის მუშებისა და წითელარმიელებისადმი“ მიმართვაში სწერდა:

„იბრძოლეთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ამხანაგებო, დაიცავით თვითეული მტკაველი მიწა, ბოლომდე იყავით მტკიცენი...“.

ჩვენ დავამარცხებთ მძვინვარე მტერს! ამის საწინდარია მთელი საბჭოთა ხალხის ურყევი გადაწყვეტილება—მთელი თავისი ძალები მოახმაროს ფაშისტი მხეცის წინააღმდეგ ბრძოლას. ამის საწინდარია ხალხის მზადყოფნა ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად. ამის საწინდარია სამშობლოსადმი სიყვარული და მტრისადმი სიძულვილი, რაც საბჭოთა ადამიანების გულში ჰღვივის.

მთელი ძალები მოვახმაროთ მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევას! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

„პრავდის“ მოწინავე, 13/X.

მთელი მსოფლიოს მეცნიერებს

ჩვენ, სსრ კავშირის მეცნიერნი, შევიკრიბეთ რა ანტიფაშისტურ მიტინგზე მოსკოვში, მივმართავთ მთელი მსოფლიოს მეცნიერებსა და ინტელიგენციას მოწოდებით დარაზმონ თავისი ძალები ჰიტლერიზმის — კულტურისა და მეცნიერების ამ უბოროტესი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მონაწილეობას ვიღებთ რა ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის საერთო ბრძოლაში, ჩვენ აღფრთოვანებული ვართ არა მარტო იმის სურვილით, რომ გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რათა რაც შეიძლება მალე განვდევნოთ ჩვენში შემოჭრილი ბარბაროსები, რომლებიც უმაგალითო ნგრევას ახდენენ და საზიზღარ ძალადობას სჩადიან, რამაც ჩინგიზ-ხანის და ატილას შემოსევაც კი დაჩრდილა. ამ მონაწილეობით ჩვენ აგრეთვე დახმარებას ვუწევთ მსოფლიო ბრძოლას იმ ხალხთა დემოკრატიული ცხოვრებისათვის, რომელთა მეცნიერებასა და კულტურას ფაშიზმი ემუქრება.

ეს მუქარა თავს დასტრიალებს მთელს მსოფლიოს. ფაშიზმი ცდილობს მოსპოს ხალხთა თავისუფლება, ცივილიზაცია, მეცნიერული პროგრესის თავისუფლება. ჰიტლერელმა ვანდალებმა დაარბიეს სამეცნიერო ცენტრები ოკუპირებულ ქვეყნებში. დახურულია უნივერსიტეტები და სკოლები ჩეხიაში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, იუგოსლავიაში, საბერძნეთსა და პოლონეთში. ფაშისტურმა რეაქციამ ჩაახშო მეცნიერული აზროვნება საფრანგეთში.

ფაშიზმმა წაბილწა მეცნიერება. ინტელექტის სულიერი ძალის ნაცვლად, ჰიტლერელმა ბარბაროსებმა გამოაცხადეს უხეში ძალის, უმეცრებისა და ქვენა ინსტინქტების კულტი. ცხოვრების კანონების შესახებ დიადი მეცნიერების—ბიოლოგიის ნაცვლად ფაშისტებმა შექმნეს კაცთმოძულეობრივი „რასიული თეორია“, რომლის მიზანია დაასაბუთოს მათი უფლება მთელს მსოფლიოზე ბატონობისა.

მეცნიერებანი, რომლებიც ემსახურებოდნენ კაცობრიობის დაახლოებას, სხვადასხვა ქვეყნებთან და ხალხებთან ადამიანთა ურთიერთ გაცნობას — გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ისტორია, — ფაშიზმმა შესცვალა ეგრეთწოდებული „გეოპოლიტიკით“, რომლის ერთადერთი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაასაბუთოს ჰიტლერის გერმანიის უფლება სხვისი ქვეყნების ყაჩაღური დაპყრობისა და სხვა ხალხების დამონებისა.

ნაცვლად ჰუმანიზმისა, რომელიც ხალხთა ნამდვილ სულიერ აყვავებას ახასიათებს, ფაშიზმმა წამოაყენა ომის უკვდავყოფა, მარაზმისა და გახრწნის ისეთი პრინციპები, როგორიც არის „რასის მოშენება“, სტერილიზაცია, სუსტი, მოხუცი და ავადმყოფი ადამიანების მასობრივი მკვლელობა. ფაშიზმი სასიკვდილო საფრთხეა ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენთვის ყველაზე საუკეთესო და ძვირფასია — კულტურისა და მეცნიერებისათვის.

ბუნების დასაპყრობად წარმოებულ თავის შეთანხმებულ მუშაობაში მთელი მსოფლიოს მეცნიერები ყველაზე მეტს ფიქრობდნენ კაცობრიობის კულტურისა და კეთილდღეობის ამაღლებაზე. ფაშიზმი კი თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს მიღწევებს მოსპობისა და ნგრევისათვის იყენებს.

თავისი ნაშრომებით აეროდინამიკის დარგში ჟუკოვსკიმ, პრენდტლმა, რეინოლდსმა, ტეილორმა, კარმანმა და სხვა მეცნიერებმა შექმნეს თეორიები, რომლებიც საჭიროა აეროპლანის გაფრენის გასაგებად. ამ ნაშრომებმა საშუალება მოგვცეს აგვეშენებინა ის თანამედროვე თვითმფრინავი, რომელმაც კაცობრიობას მისცა მიმოსვლის ყველაზე მძლავრი საშუალება, რამაც ერთნაირად გასავლელი გახადა უდაბნოები, ოკეანეები და ხმელეთი. მაგრამ ამ ნაშრომების ავტორი მეცნიერები და ინჟინრები შემოქმედებითად შრომობდნენ არა იმისათვის, რომ ეს სრულყოფილი თვითმფრინავი გერმანელ ფაშისტებს გამოეყენებინათ ლონდონის, ლენინგრადის, მოსკოვის, ბელგრადის, როტერდამის საუკუნეობრივ კულტურულ ღირებულებათა დასანგრევად, მშვიდობიანი მოსახლეობის გასაჟლეტად.

ის, რაც კაცობრიობის სიკეთე უნდა გამხდარიყო, ფაშისტებმა უბედურებად, სიკვდილისა და დამონების იარაღად აქციეს.

ჩვენ — მეცნიერებს — გვაძევს ვალი: გამოვნახოთ იმის საშუალებანი, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ გონებადაკარგულ ფაშისტებს, რომელნიც ბოროტად იყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის იმ მიღწევებს, რის შექმნისთვისაც ჩვენ მორალური პასუხისმგებლობა გვაკისრია.

ამ პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, მთელ ჩვენს ცოდნასა და მეცადინეობას იმას ვანდომებთ, რომ მივაღწიოთ ჰიტლერელთა ურდოების რაც შეიძლება მალე განადგურებას და საბოლოოდ მოვსპოთ ფაშისტური მიხაკისფერი ჭირი, რომელიც მსოფლიოს მოსდებია.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ყველა თავისუფლებისმოყვარულ ხალხთა, მსოფლიოს ყველა მოწინავე ადამიანთა შეთანხმებული და აქტიური ბრძოლა მიგვიყვანს ფაშიზმის განადგურებამდე.

ჩვენ, ყველა ქვეყნის მეცნიერებმა, მთელი ჩვენი ძალა და ცოდნა უნდა შევწიროთ ამ ყველაზე საშინელი ტირანიის, რომელსაც კი ისტორია იცნობს, — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ჩვენი მეცნიერული მუშაობა მუდამ მჭიდროდ დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა განვითარებასა და საჭიროებებთან, რომლებიც მთელი კაცობრიობის ინტერესებს შეესაბამება. საბჭოთა მეცნიერები ენერგიულ დახმარებას უწევდნენ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა პოვნა-გამოყენების საკითხებზე და მეურნეობის განვითარებაზე წარმოებულ მუშაობას. ჩვენი მეურნეობის გეგმიანმა განვითარებამ შესაძლო გახადა, რომ ორი ათეული წლის განმავლობაში შეგვექმნა მსხვილი მრეწველობა და განახლებული სასოფლო მეურნეობა, რამაც უზრუნველჰყო მთელი საბჭოთა ხალხის საარსებო დონის ამაღლება.

ჩვენი ქვეყანა გაიზარდა, და განმტკიცდა სსრ კავშირის ყველა ეროვნებათა თანამშრომლობის შედეგად. ჩვენი კონსტიტუციის საფუძველზე საბჭოთა კავშირში შემავალი მრავალრიცხოვანი ეროვნებანი დიდი საბჭოთა ოჯახის თანაბრად უფლებამოსილი და პატივცემული წევრები არიან. ჩვენი მეცნიერები სწავლობენ საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხის ისტორიას, სწავლობენ მათს ფოლკლორს, დახმარებას უწევენ მათი ნაციონალური კულტურის ზრდას. ამ მუშაობამ ხელი შეუწყო სსრ კავშირის ხალხების დარაზმვას თანასწორუფლებიან ხალხთა კავშირად, რომელნიც პატივს სცემენ ერთმანეთს და აფასებენ ერთმანეთის კულტურას. ერთსულოვანი და მძლავრი წინააღმდეგობა, რომელსაც ჩვენი მრავალრიცხოვანი, მრავალეროვანი წითელი არმია უწევს ფაშისტთა შემოსევას, საუცხოო დამამტკიცებელი საბუთია ჩვენი სამშობლოს ხალხთა დიადი ოჯახის ურყევობის და ერთსულოვნობისა.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებს, გვწამს ფაშიზმზე საბოლოო გამარჯვება, გვწამს, რომ ფაშიზმი საბოლოოდ იქნება განადგურებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობის ერთერთი პირობაა ხალხთა ურთიერთგაგება და პატივისცემა, მათს თანასწორობაზე დამყარებული, თვითეული ქვეყნის კულტურისა და ეკონომიურ საჭიროებათა შესწავლა, მთელი მსოფლიოს მეცნიერთა მჭიდრო კავშირი, გაერთიანება მათი ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართული იქნება მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ჩვენ მივმართავთ მთელი მსოფლიოს მეცნიერებს იმ დროს, როდესაც ჰიტლერის სამხედრო მანქანის დარტყმის მთელი სიმძიმის გადატანა საბჭოთა ხალხს უხდება, როდესაც მისი ქალაქები ნადგურდება, მოსახლეობა ძარცვასა და მხეცურ ძალადობას, აბუჩად აგდებას განიცდის, როდესაც გიგანტურ ფრონტზე გააფთრებულ ბრძოლებში სწყდება საკითხი — თავისუფალნი იქნებიან თუ არა სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხები, რომელთაც ფაშიზმი ემუქრება; თავისუფალნი იქნებიან თუ არა საფრანგეთის ხალხი და ფაშისტთა მიერ დამონებული სხვა ქვეყნების ხალხები.

კულტურისა და მეცნიერების ყველა მოღვაწის ვალია აქტიურად ჩაებას ბრძოლაში და ხელი შეუწყოს იმას, რომ საბოლოოდ ჩაშალოს ჰიტლერის გეგმა — სათითაოდ დაიმონოს ხალხები.

ამჟამად ბრძოლის ველზე წყდება ხალხთა დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და თვით სიცოცხლის საკითხი. წყდება საკითხი—გაიმარჯვებს თუ არა მეცნიერება ბარბაროსობაზე, გაიმარჯვებს თუ არა მსოფლიო პროგრესი ჰიტლერულ რეაქციაზე.

ჩვენ, მეცნიერნი დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირის ხალხები თავისუფლებისმოყვარე თქვენი ქვეყნების ხალხებთან ერთად, საკმაო ძალას გამონახავენ, რათა სამუდამოდ მოუღონ ბოლო ჰიტლერიზმს და სამუდამოდ უზრუნველჰყონ ყველა ქვეყნის ხალხთათვის მშვიდობიანი, თავისუფალი განვითარებისა და პროგრესის შესაძლებლობა.

გაუმარჯოს დემოკრატიულ ქვეყნებს, რომლებმაც გააერთიანეს თავიანთი ძალები იმისათვის, რომ იბრძოლონ ფაშიზმის წინააღმდეგ, სანამ იგი საბოლოოდ არ იქნება დამარცხებული!

გაუმარჯოს თავისუფალ მეცნიერებას, რომელიც ემსახურება მთელი კაცობრიობის კულტურის განვითარებას!

აკადემიკოსები: ნ. დერჟავინი, პ. კაპიცა, დ. პრიანიშნიკოვი, ა. ფერსმანი, ბ. კელერი, ტ. ლისენკო, ა. ფრუმკინი, ი. იაროსლავსკი, მ. მიტინი, ი. გრეკოვი; სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: ს. ბახრუშინი, პ. ალექსანდროვი, ა. ალიხანოვი, ი. მინცი, ნ. პოლაპერ-გრაჟენკოვი; სსრ კავშირის სახალხო არტისტი პროფ. რ. გლიერი; პროფესორები: ა. ტიმირიაზევი, ბ. ზავადოვსკი, ნ. გუძი, ლ. პუსტოვალოვი, ნ. რომანოვი, ა. ალიხანიანი და სხვ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 ოქტომბრის დილის ცნობა

13 ოქტომბრის [illegible] განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ მტერთან ბრძოლებს მთელ ფრონტზე და განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლებს — დასავლეთის მიმართულებით.

* * *

ფრონტის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ჩვენი ჯარის ნაწილების წინააღმდეგ იერიშზე გადმოსულმა მტერმა, ჩვენი არტილერიის მოქმედების შედეგად, ბრძოლის ველზე დასტოვა ბევრი მოკლული და დაჭრილი. საომარი მოქმედების რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა მოსპო 18 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, რამდენიმე საველე ქვემეხი, ნაღმსატყორცნთა 3 ბატარეა, 22 სატყვიამფრქვევო ბუდე. მოკლულია სულ მცირე 1.500 და დაჭრილია 3.500 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ჯარის ნაწილმა, რომელიც ლენინგრადის მისადგომებთან მოქმედებს, ხელთ იგდო 20 ტყვიამფრქვევი, 100-მდე ავტომატი და დიდძალი შაშხანა. უმცროს ლეიტენანტ იაკოვლევის სატანკო ასეულმა ფრონტის ლენინგრადის უბნის ერთერთ სექტორში მოსპო 170 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 14 ტანკსაწინააღმდეგო და საველე ზარბაზანი.

ფრონტზე აქტიურად მოქმედებდნენ ჩვენი თვითმფრინავები და არტილერია. მფრინავთა ჯგუფმა ლეიტენანტ როდიონოვის მეთაურობით დაბომბა მტრის აეროდრომი, რომელზედაც გერმანელთა 9 თვითმფრინავი დაიწვა. მოიერიშე ავიაციის თვითმფრინავთა ჯგუფის წარმატებითი იერიშების შედეგად მოსპობილია გერმანიის რამდენიმე ტანკი, 120-ზე მეტი სატვირთო ავტომანქანა ქვეითი ჯარითურთ და 10 ცისტერნი საწვავი.

* * *

ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით ჩვენი ავიაცია კვლავ ურტყამს მტრის ქვეითი ჯარის თავმოყრის ადგილებს, სატანკო კოლონებს, საარტილერიო და სანაღმსატყორცნო ბატარიებს. ამხ. მირონენკოს ქვეგანაყოფის მფრინავებმა მცელავი ფრენით დაუშინეს ტყვიამფრქვევები და ზარბაზნები გერმანელთა ტანკებს და მტრის კავალერიას. თავდასხმის შედეგად მოსპობილია 15 ტანკი, ბევრი ავტომანქანა და ფაშისტთა კავალერიის დაახლოებით ერთი ესკადრონი. ამხ. ბელეცკის და ერმაჩენკოს ნაწილების მფრინავებმა მტრის აეროდრომებზე თავდასხმის დროს 12 „მესერშმიტი“ დაბომბეს.

ფრონტის ერთერთ უბანზე საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულია გერმანიის 4 ავიაგამანადგურებელი.

* * *

ფაშისტი არამზადები კვლავ აბუჩად იგდებენ მშვიდობიან მოსახლეობას გერმანიის არმიის მიერ დაკავებულ რაიონებში. ორიოლის ოლქის სოფელ რუბჩის დაკავების შემდეგ გერმანელებმა გლეხ გრიგოლ კოვალიოვს მოსთხოვეს, რომ მას გაეცა სოფლის აქტივი. კოვალიოვმა კითხვებზე პასუხი არ გასცა. მაშინ ჯალათებმა იგი აწამეს. საბჭოთა პატრიოტი ისე მოკვდა, რომ თავისი ამხანაგები არ გაუცია.

სოფელ მურაჩოვკაში კოლმეურნე ქალს ივანკოვას ტყუპი შეეძინა. მოლოგინების მეორე დღეს გერმანელმა ჯარისკაცებმა ამხ. ივანკოვა მძიმე სამუშაოზე გაგზავნეს. ავადმყოფი და დასუსტებული კოლმეურნე ქალი ძლივს მილასლასებდა. სამუშაო დღის ბოლოს ამხ. ივანკოვა დაეცა და მუშაობაზე უარი სთქვა. მუშაობაზე უარის თქმისათვის ფაშისტმა მხეცებმა იგი დახვრიტეს. უდედოდ დარჩენილი ახალშობილი ბავშვები შიმშილით დაიხოცნენ.

* * *

კვების მრეწველობის მუშაკები უზრუნველჰყოფენ წითელი არმიისა და მთელი ჩვენი ქვეყნის მომარაგებას კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტებით. წინასწარი ცნობებით, ხორცის მრეწველობის საწარმოებმა მესამე კვარტალის გეგმა 105,3 პროცენტით შეასრულეს. დამზადებულია 6-ჯერ მეტი ხორცის კონსერვი, ვიდრე გასული წლის მესამე კვარტალში. პეტროპავლოვსკის კომბინატმა კვარტალური გეგმა 127 პროცენტით შეასრულა. ჩვენს ქვეყანაში ბრინზა ყველის გამომუშავება, 1940 წელთან შედარებით, თითქმის ერთიორად გადიდდა.

1 ოქტომბრისათვის დაჭერილია 2.300 ათასი ფუთით მეტი თევზი, ვიდრე გასული წლის ამავე რიცხვისათვის. მესამე კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს ვოლგა-კასპიის, ურალ-კასპიის, აზოვ-შავი ზღვის და ყირიმის თევზის მრეწველობის ტრესტებმა. კამჩატკის, დაღესტნის და ოხოტო-აიანსკის ტრესტების თევზის მრეწველობის საწარმოებმა უკვე შეასრულეს თევზის ჭერის წლიური გეგმა. თევზის ჭერის გეგმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ ჩრდილოეთის მებადურები, რომლებიც ფრონტისპირა ზოლის მახლობლად მუშაობენ.

14 ოქტომბრის საღამოს ცნობა

14 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ მტერთან ბრძოლას მთელ ფრონტზე და განსაკუთრებით გააფთრებულ ბრძოლებს ვიაზმის, ბრიანსკისა და კალინინის მიმართულებებით. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს ქალაქი მარიუპოლი.

12 ოქტომბერს მოსპობილია გერმანიის 89 თვითმფრინავი, მათგან 27 საჰაერო ბრძოლებში და 62 მტრის აეროდრომებზე. ჩვენ 23 თვითმფრინავი დავკარგეთ.

14 ოქტომბრის განმავლობაში მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანიის 8 თვითმფრინავი.

* * *

ფრონტის დასავლეთის მიმართულებით ჩვენი ჯარები კვლავ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ შემოტევაზე გადმოსულ მტერს. დღის განმავლობაში მთელ რიგ უბნებზე გერმანელებმა მრავალჯერ სცადეს ჩვენი თავდაცვის სიღრმეში შემოჭრა და ამასთან ანგარიშს არ უწევდნენ თავის დანაკლისს. ტანკსაწინააღმდეგო ორმოებში და ჩვენი თავდაცვის ხაზის მისადგომებზე ჰყრია მრავალ ათას გერმანელ ჯარისკაცთა გვამები, დამსხვრეული ტანკები, ავტომანქანები და მოტოციკლები. ჩვენი ჯარის ნაწილები წინააღმდეგობას უწევენ ფაშისტთა ჯარების მოწოლას და განსაკუთრებულ სიმამაცესა და გამბედაობას იჩენენ.

ჩვენი თავდაცვის ერთერთი სექტორის გასარღვევად მტერმა გამოიყვანა 28 ტანკი, 200 მოტოციკლისტი და ქვეითი ჯარის პოლკი. ჩვენი ჯარის ნაწილი ტანკებს შეხვდა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებისა და მსხვილყალიბიანი ტყვიამფრქვევების ცეცხლით. 9 ტანკი მოსპობილ იქნა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი ჩვენს სანგრებამდე მოაღწევდნენ, დანარჩენთაგან ნაწილი მოსპობილ იქნა საწვავიანი ბოთლებითა და ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარებით, ნაწილი კი უკან გაბრუნდა. მტრის ქვეითი ჯარი, რომელმაც ტანკების კვალდაკვალ შემოტევაზე გადმოსვლა სცადა, ნაღმსატყორცნისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლში მოჰყვა და დიდი ზარალი განიცადა. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 700-ზე მეტი გვამი. მთელი ბრძოლის განმავლობაში ჩვენი სახმელეთო ჯარების მოქმედებას აქტიურად ეხმარებოდა ავიაცია. მოიერიშე და ყუმბარმშენ თვითმფრინავთა ქვეგანაყოფები განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს მტრის რეზერვებს, მის საომარი მასალების საწყობებს. ჩვენმა მოიერიშე თვითმფრინავებმა მთელი რიგი დარტყმები მოახდინეს მტრის მექანიზებულ ძალებსა და მის არტილერიაზე.

14 ოქტომბერს გერმანელებმა ფრონტის დასავლეთის მიმართულებით სულ მცირე 13 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთერთ იმ რაიონში, რომელიც ხელთ იგდეს გერმანელებმა, რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ოქტომბრის განმავლობაში მოსპო ფაშისტთა 6 ტანკი, 95 ავტომანქანა და ავტოცისტერნი, საომარი მასალებითა და სურსათით დატვირთული 32 საზიდარი. პარტიზანებმა ააფეთქეს საომარი მასალების 3 საწყობი, 9 რკინიგზისა და 10 გზატკეცილის ხიდი. ამ ოპერაციებში მოკლულ იქნა 500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. რაზმი, რომელსაც ამხ. ფ. მეთაურობს, ამ დღეებში ოთხჯერ დაესხა თავს მტრის მოტორიზებული ქვეითი ჯარის მცირე კოლონებს და მოსპო 58 ფაშისტი. მებრძოლთა ჯგუფმა, რომელსაც ამხ. შ. მეთაურობს, ტყეში აღმოაჩინა ტელეფონის მავთულები. პარტიზანები გულმოდგინედ შეინიღბნენ, გაჰყვნენ მავთულებს ტყის სიღრმეში და გზიდან 5 კილომეტრის მანძილზე, ტყის დარაჯის სახლში, აღმოაჩინეს გერმანელთა ჯარის ნაწილის შტაბი. ღამით რაზმი თავს დაესხა შტაბს. მოსპობილ იქნა 7 ოფიცერი და 18 ჯარისკაცი, რომლებიც თავდასხმას არ მოელოდნენ. პარტიზანებმა მოსპეს 2 სატვირთო და 2 მსუბუქი ავტომანქანა, რადიოტელეფონის სადგური, ხელთ იგდეს ხელტყვიამფრქვევი, 6 ავტომატი, შაშხანები, რევოლვერები და მრავალი ვაზნა.

* * *

ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ერთერთ უბანზე ჩვენმა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს რუმინეთის მზვერავი თვითმფრინავი. მფრინავი—უმცროსი ლეიტენანტი ალექსანდრე კოსმა ტყვედ წამოიყვანეს. რუმინეთის არმიაში გაწვევამდე კოსმა საჰაერო ფლოტის უწყების მოხელედ ყოფილა. დაკითხვისას ტყვე მფრინავმა შემდეგი განაცხადა: „სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის განმავლობაში რუმინეთის ავიაციამ თავის თვითმფრინავთა ნახევარი მაინც დაჰკარგა. განსაკუთრებით ბევრი თვითმფრინავი დაიღუპა ოდესასთან. ამასწინათ იქ მოჰკლეს გამანადგურებელი ავიაციის 1-ლი ფლოტილიის მეთაური პოლკოვნიკი პაპიშტიანუ“.

რუმინეთში გრძელდება დივერსიული აქტები, რომელთა შედეგად მწყობრიდან გამოდის ქარხნების საამქროები, საწყობები და გზების ცალკეული უბნები. ქალაქებში ბაზიაშსა და ორშოვაში ამასწინათ დაიწვა გერმანიისათვის განკუთვნილი სურსათის დიდი საწყობები. ოქტომბრის დამდეგს ქალაქ კორაბიას (დუნაიზე) ახლოს რუმინელმა ანტიფაშისტებმა ჩაძირეს გერმანიის არმიისათვის განკუთვნილი ფქვილითა და სიმინდით დატვირთული კარჭაპი. პრესაში გამოქვეყნდა ცნობები იასის ელექტროსადგურზე მომხდარი დიდი ხანძრის შესახებ. ცეცხლმა ძლიერ დააზიანა სამანქანო განყოფილება. ამავე ქალაქში დაიწვა სამხედრო სასურსათო საწყობი. რკინიგზის ხაზზე მომხდარი ხშირი მარცხი ფუშავს რუმინეთის არმიისათვის განკუთვნილი სამხედრო ტვირთების გადაზიდვას. ოხრანკამ რკინიგზის ლიანდაგის მდგომარეობის სპეციალური მეთვალყურეები დააყენა, მაგრამ ამან არავითარი შედეგი არ გამოიღო. ავარიების რაოდენობამ არ იკლო.

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 14 ოქტომბერს შესდგა, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უფროსის მოადგილემ ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ შემდეგი განაცხადა:

— როდესაც გერმანელები ფრონტის რომელიმე უბანზე შეტევას იწყებენ, ისინი ამავე დროს იწყებენ რადიომაუწყებელ და საგაზეთო ფსიქიურ იერიშს. გერმანიის პროპაგანდის სამინისტრო ასეთ შემთხვევებში იყენებს არა მარტო გერმანიის რადიოსადგურებსა და გაზეთებს, არამედ ყველა ვასალურ და ეგრეთწოდებულ მოკავშირე სახელმწიფოთა რადიოსადგურებსა და გაზეთებსაც, რომლებიც უეცრად იწყებენ ყოვლად სულელური და უაზრო ცნობების გავრცელებას. ფსიქიური იერიში შემდეგნაირად ეწყობა: თუ გერმანიის ჯარებმა ერთი კილომეტრით წაიწიეს, რადიო და გაზეთები გაჰყვირიან, რომ მათ წაიწიეს 50 კილომეტრით. თუ გერმანიის ჯარებმა ერთი ქალაქი აიღეს, რადიო და გაზეთები 10 ქალაქის აღებას იუწყებიან. თუ გერმანიის ჯარებმა ტყვედ წაიყვანეს 100 წითელარმიელი, ამას რამდენიმე ნოლს უმატებენ იმისათვის, რომ ამ ციფრებით გააოცონ მკითხველნი და მსმენელნი. ამასთან თავისი დანაკლისის შესახებ სდუმან ან იმავე პროპორციით ამცირებენ მას. ამ ფსიქიური იერიშის მიზანი სავსებით ცხადია — შეუქმნან საბჭოთა კავშირის მოკავშირეებსა და მეგობრებს ისეთი წარმოდგენა, თითქოს აღმოსავლეთის ფრონტზე არავითარი წინააღმდეგობა არ არის, არამედ არის გერმანიის არმიის განუწყვეტელი ტრიუმფალური სვლა. დღეს დაიწყო აღმოსავლეთის ფრონტზე შემოტევის მე-13 დღე, და არ ყოფილა არცერთი ისეთი დღე, რომ იმ რადიოსადგურებსა და გაზეთებს, რომლებიც გესტაპოს ხელმძღვანელობით მუშაობენ, მთელი მსოფლიოსათვის არ ეუწყებინათ, უახლოესი 2-3 დღის განმავლობაში აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლა გერმანიის განსაცვიფრებელი გამარჯვებით დამთავრდებაო. უწინარეს ყოვლისა, გერმანიის უმაღლესი სარდლობა და გერმანიის რადიო მანიაკთა სიჯიუტით იმეორებენ, რომ გერმანიის თვითმფრინავები ყოველღამე ბომბავენ მოსკოვს და რომ მოსკოვი იწვის. ამ სენსაციური ცნობის სიცრუე ძალიან მარტივად და იოლად შესამოწმებელია. აღმოსავლეთის ფრონტზე შემოტევის ამ 12 დღის განმავლობაში იყო მოსკოვზე თავდასხმის რამდენიმე უნაყოფო ცდა, მაგრამ ეს ცდები ისე არ მთავრდებოდა, როგორც გერმანელებს სურდათ. ამრიგად, ბერლინელი ცრუპენტელები და მათი ხელქვეითნი პირველად და უკანასკნელად როდი დაიჭირეს ტყუილში. უკანასკნელ დღეებში გერმანელებმა რადიოთი გამოაქვეყნეს რამდენიმე ცნობა, სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებში აჯანყებები მოხდაო, მაგრამ მთელი ეს მითმოქმედება მხოლოდ უტიფარი და უშნო ჭორია. ვაჟბატონ ნაცისტებს, რომლებიც გრძნობენ ყრუ მღელვარებას გერმანელ ხალხში და გერმანიის არმიაში, რომლებსაც ეშინიათ აჯანყებისა თავის ქვეყანაში და ფრონტზე, ესიზმრებათ აჯანყებანი საბჭოთა ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირის ხალხები ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილან მორალურად და პოლიტიკურად ისე ერთიანნი, როგორც ახლა, წმინდათა-წმინდა ბრძოლაში სამშობლოსათვის, ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ. თუ ყველაფერი ისე მიდის, როგორც ამას გერმანიის პროპაგანდა გვიხატავს, მაშ, ბოლოსდაბოლოს, ვინღა განაგრძობს გააფთრებულ და სისხლისმღვრელ ბრძოლას აღმოსავლეთის ფრონტზე? რატომ იღუპება გერმანიის ასე ბევრი თვითმფრინავი? რატომ შენელდა გერმანიის მოტომექანიზებული ნაწილების წინსვლა მოსკოვისაკენ, ხოლო ბევრ უბანზე კიდეც შეჩერდა? და, ბოლოს, რატომ არის, რომ იტალიური გაზეთი „სტამპაც“ კი 12 ოქტომბერს სწერს: „რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა არ დამთავრებულა, ვინაიდან ჯერ კიდევ არსებობენ საბჭოთა დივიზიები, რომლებიც მოსპობილი ან გარშემორტყმული არ არიანო“. მეტიც, ეს გაზეთი წინასწარმეტყველებს გაზაფხულის კამპანიას და საკმაოდ არაორაზროვნად სწერს გერმანელების უდიდეს სიძნელეთა შესახებ ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე. ყველაფერი რომ ისე მიდიოდეს, როგორც ამის შესახებ გერმანიის პროპაგანდა ჯერ კიდევ 8 ოქტომბერს იტყობინებოდა, მაშ რატომ მოხდა, რომ გერმანიის სარდლობა თავის 11 ოქტომბრის კომუნიკეში იუწყებოდა: „ჩვენი ჯარები მზად უნდა იყვნენ მთელი რიგი მომავალი

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

მთელი მსოფლიოს მეცნიერნი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებიან

მეცნიერთა ანტიფაშისტური მიტინგი მოსკოვში

12 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა მეცნიერთა ანტიფაშისტური მიტინგი. საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში. მოხუცი და ახალგაზრდა მეცნიერნი აქ მოვიდნენ, რათა მთელი მსოფლიოს წინაშე დასდონ დიადი ფიცი—იბრძოლონ სრულ გამარჯვებამდე ჰიტლერიზმის წინააღმდეგ, აქ მოვიდნენ, რათა მთელი მსოფლიოს მეცნიერებს მოუწოდონ — გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღეთ გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების წინააღმდეგ, რომლებიც მეცნიერებასა და კულტურას სპობენ.

მიტინგი გახსნა აკადემიკოსმა დერჟავინმა. მან სთქვა:

— მტერი მთელ თავის ძალებს ძაბავს, ყველა ოკუპირებული ქვეყნიდან მოჰყავს თავისი დაზარალებული რეზერვები, ამობილიზებს მთელს ადამიანთა და მატერიალურ რესურსებს, უდიდეს მსხვერპლს სწევს ადამიანებისა და მანქანების სახით და ახლა ცდილობს შემოიჭრას ჩვენს უდიდეს სამრეწველო ცენტრებში, რისთვისაც უსასტიკესი იერიშები მოაქვს ჩვენს წინააღმდეგ.

ჩვენს დიადს სახელოვან დედა-სამშობლოს თავს დასტრიალებს მრისხანე საშიშროება.

საბჭოთა მთავრობისა და მისი მეთაურის, ჩვენი საყვარელი ბელადისა და მეგობრის ამხანაგ სტალინის (ტაში) მოწოდებით მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა და საყოველთაო-სახალხო ლაშქრად დაიძრა საზიზღარი და უბოროტესი მტრის წინააღმდეგ.

მთელ საბჭოთა ხალხს პატრიოტული აღფრთოვანების მძლავრი აღმავლობით შეუერთდნენ საბჭოთა მეცნიერები. ჩვენ დიადი ღირსებითა და სიამაყით ვიხდით ჩვენს წმინდა ვალს სამშობლოს წინაშე როგორც საბრძოლო პოზიციებზე, ისე ყველგან, სადაც კი ჩვენი ცოდნა და გამოცდილება გამოადგება ამჟამად ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს და მტრის განადგურებას, ჩვენს ხალხთან ერთად საკუთარი სისხლით ვიცავთ ჩვენი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ჩვენ მოვუწოდებთ მთელი მსოფლიოს მეცნიერებს ულმობლად იბრძოლონ კულტურისა და პროგრესის საზიზღარი მტრის — ბარბაროსული ჰიტლერიზმის წინააღმდეგ.

მეცნიერების მუშაკნო, მთელი მსოფლიოს მეცნიერებო, აღსდგეთ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად!

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა კომაროვმა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიტინგს პირადად ვერ დაესწრო, შემდეგი დეპეშა გამოგზავნა:

— ძმებო საერთო საქმეში, მთელი მსოფლიოს მეცნიერებო, კულტურისა და პროგრესის შემოქმედნო!—სწერს აკადემიკოსი კომაროვი,—კაცობრიობა საშინელ, გადამწყვეტ ჟამს განიცდის. ახლად-მოვლენილი ვანდალების ბნელი ურდოები განადგურებას უქადიან მსოფლიო ცივილიზაციას.

ჰიტლერს სძულს მეცნიერება—პროგრესისა და აყვავების საწინდარი. ფეხქვეშგათელილ და შეგინებულ გერმანიაში მეცნიერება შესცვალეს ცინიკური სიცრუით, პოგრომული რასისტული ქადაგებით. პირსისხლიან მკვლელს ჰიტლერს სწადია მოსპოს კულტურა და მეცნიერება მთელს მსოფლიოში. მას სწადია, რომ გადაბუგულ და სისხლით მორწყულ ნანგრევებში დაეხეტებოდნენ დამონებული კაცობრიობის გაველურებული ნაშთები.

ეს არ მოხდება!

თანამედროვეობის მძლავრი დემოკრატიები მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარულ ხალხებთან ერთად ამობილიზებენ თავიანთ ძალებს კაცობრიობის მტრების წინააღმდეგ. ანტიფაშისტური კოალიციის არსენალში მეცნიერული შემოქმედების უსაზღვრო ძლიერებაა.

მძვინვარე მტერი ამჟამად ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს შემოიჭრას ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო სამრეწველო ცენტრებისაკენ. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რაოდენ დიდია საშიშროება, რომელიც ჩვენს სამშობლოს ემუქრება. საშიშროების შეგნება ათკეცებს ჩვენს ძალებსა და ჩვენს ნებისყოფას გამარჯვებისადმი. ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენ სივრცეებში საბჭოთა კავშირის მეცნიერები ახალ-ახალ სანედლეულო და ენერგეტიკულ რესურსებს პოულობენ და ახალ ტექნოლოგიურ მეთოდებს და ახალ კონსტრუქციებს ჰქმნიან იმისათვის, რომ გამარჯვება მოგვიახლოონ. საბჭოთა მეცნიერები მსოფლიო მეცნიერებას მოუწოდებენ დახმარება გაუწიონ თანამედროვეობის უდიადეს და უკეთილშობილეს საქმეს, ჩვენ მოვუწოდებთ — გაერთიანებულ

აქნას ყველა ძალა ფაშისტური გერმანიის სრულიად გასანადგურებლად. დრო არ იცდის, დადგა გადამწყვეტი დღეები.

მეცნიერებო, მსოფლიოს მეცნიერების მოღვაწენო, აქტიურად დაეხმარეთ ანტიფაშისტურ ფრონტს! ეს არის ჩვენი ვალი: კაცობრიობის მომავალი, მისი პროგრესი, მისი დიადი მისწრაფებანი მოითხოვენ რეაქციული ჰიტლერული ხროვის მოსპობას.

დაე ერთი წუთითაც ნუ მოგვასვენებს ფიქრი განაწამებ, ცოცხლად დამარხულ, დასახიჩრებულ ადამიანებზე, ბავშვთა გვამებზე, ცეცხლმოდებულ ქალაქებზე. ვიყვნეთ ულმობელნი! ფაშისტების მოსპობა უმაღლესი ჰუმანიზმია. მათი დაღუპვა ბრწყინვალე დღესასწაული იქნება კაცობრიობისათვის. მათი დაღუპვა ვარდუვალია.

ყველაფერი ფაშიზმის გასანადგურებლად! ყველაფერი საზიზღარი მტრის მოსასპობად!

უხუცესი რუსი მეცნიერის ეს სიტყვები ყველა დამსწრის მქუხარე ტაშს იწვევენ.

ტრიბუნაზეა აკადემიკოსი კაპიცა.

— როცა ივნისის დამლევს ჩვენს ქვეყანას უეცრად თავს დაესხნენ ჰიტლერელთა ბანდები,—ამბობს იგი,—ჩვენ ყველამ, მეცნიერებმა მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ საჭიროა მთელი ჩვენი ცოდნა და ძალა მოვახმაროთ ჩვენს ქვეყანას, მის გმირულ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ.

ფაშიზმი მეცნიერებას მხოლოდ ომის მიზნებისათვის იყენებს. დღევანდელი დღის ამოცანაა მოვსპოთ ფაშიზმი, რომელმაც უკვე ესოდენი უბედურება და ნგრევა მოუტანა მთელს ევროპას, ფაშიზმი, რომელიც ახლა სტანჯავს ჩვენი ქვეყნის დაპყრობილი რაიონების მოსახლეობას და რომელიც მრავალი წლით ჩახშობას ემუქრება მსოფლიო კულტურას.

რა შეგვიძლია ჩვენ, მეცნიერებს, გავაკეთოთ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ჩვენ ვიცით, რომ დემოკრატიული ქვეყნების მეცნიერების რესურსები მნიშვნელოვნად უფრო მეტია, ვიდრე ჰიტლერის გერმანიის რესურსები. ამიტომ, თუ საზღვარგარეთელი მეცნიერები ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ჩვენს მუშაობას, მტერი უფრო მალე იქნება დამარცხებული, საფრთხე, რომელიც მსოფლიოს ემუქრება, თავიდან იქნება აცილებული და ჩვენ ყველანი მით უფრო მალე შევძლებთ დავუბრუნდეთ ჩვენს მშვიდობიან და ბედნიერ ცხოვრებას, შემოქმედებითს მუშაობას.

ამხანაგო მეცნიერნო, მხარი დაუჭირეთ ამ ბრძოლას თავისუფლებისათვის, კულტურისათვის, ბრძოლას, რომლის მსგავსს მსოფლიო არ მოსწრებია და რომელშიც პასიურობის გამოჩენა სამარცხვინო დაღად დააჩნდება ყოველ ადამიანს მთელ მის სიცოცხლეში.

სიტყვა ეძლევა აკადემიკოს ფერსმანს. თავის სიტყვას იგი უძღვნის საბჭოთა ქვეყნის დიდ პროგრესს კულტურისა და ტექნიკის ყველა დარგში.

— უკანასკნელ მეოთხედ საუკუნეში ჩვენ გავეცანით ჩვენს ქვეყანასა და მის სიმდიდრეებს. ამ წლების განმავლობაში აღმოჩენილ იქნა დაახლოებით 75 ათასი სასარგებლო მადნეული, რომელთაგან ბევრი უდიდეს მსოფლიო საბადოდ გადაიქცა. მენდელეევის ქიმიური ელემენტების თითქმის მთელი ცხრილი აღმოჩენილია სამრეწველო მარაგის სახით. გამოვლენილია სიმდიდრენი ტყეებისა, რომლებსაც დაახლოებით 1 მილიარდი ჰექტარი უჭირავს. უკვე ითესება 135 მილიონზე მეტი ჰექტარი. მიწათმოქმედება გავრცელდა შორს ჩრდილოეთით, პოლარული წრის გადაღმა. გაცოცხლდა შუააზიის უსიცოცხლო უდაბნოები, ხოლო ციტრუსოვანთა პლანტაციებით მოიფინა კავკასიის მთების კალთები. წარმოიშვა ჩვენი ქვეყნის ახალი გეოგრაფია. გრანდიოზულია ადამიანის ნებისყოფით, მისი შრომითა და მეცნიერული აზროვნებით გარდაქმნილი მშვიდობიანი შრომის სურათი.

და ამ ქვეყანაში შემოიჭრა შმაგი, თავზეხელაღებული, დამღუპველი მტერი—ჰიტლერიზმი.

ამოძრავდა საბჭოთა მეცნიერება, დარაზმა თავისი რიგები, გაშალა თავისი მძლავრი ფრთები. გეოლოგთა, გეოგრაფთა, მინერალთმცოდნეთა და გეოქიმიკოსთა შემოქმედებითი გაქანების შედეგად უკვე მზადდება ლითონის ნიაღვარი, რომელშიც თავის სიკვდილს ჰპოვებს გამხეცებული ფაშიზმი.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მყოფ მეცნიერ ამხანაგებთან მჭიდრო ერთიანობით, მომავალი კაცობრიობისათვის ბრძოლაში მოანდომეთ

თქვენი ძალა, ცოდნა და ფიქრი იმას, რომ ნიკელი, ქრომი, ნიობიუმი და ვანადიუმი ხმარდებოდეს უახლესი და უმტკიცესი ტანკების აგებას, ალუმინი, მაგნიუმი, ბერილიუმი—თვითმფრინავების მშენებლობას.

ჩვენ გვაწევს უდიდესი პასუხისმგებლობა—გამოვიყენოთ მეცნიერების, მეცნიერული შემოქმედებისა და მეცნიერული ინიციატივის მთელი ძალები, მთელი სიდიადე, მთელი ძლიერება, რათა ფაშიზმის განადგურების ჟამი რაც შეიძლება უფრო მალე დადგეს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ბახრუშინს. ლაპარაკობს რა მოსკოვზე—რუსული კულტურის, რუსული მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ცენტრზე, ჩვენი ქვეყნის კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრზე,—იგი აცხადებს:

— ახლა ჩვენ, მოსკოვის მეცნიერთ, მოვალეობა გვაწევს მთელი კულტურული მსოფლიოს მეცნიერულ ძალებთან შეთანხმებული, ერთობლივი მუშაობით დავძაბოთ ჩვენი ძალები, რათა ფაშიზმს საშუალება არ მივცეთ ჩააქროს ნამდვილი მეცნიერების ალი. მთელი ჩვენი ცოდნა, მთელი ჩვენი ძალები, მთელი ჩვენი უნარი უნდა მოვახმაროთ ფაშისტური მტარვალობის წინააღმდეგ, ფაშისტური ცრუმეცნიერების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საქმეს, მეცნიერებისათვის, მსოფლიო კულტურისათვის ბრძოლის საქმეს.

ქვეყნდება დეპეშა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოს ბახის, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მიტინგს ვერ დაესწრო.

— პასუხისმგებლობა იმ ქაოსისა, სისასტიკისა, უსაზღვრო ტანჯვისათვის, რაც ჰიტლერელებმა თავს დაატეხეს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მშვიდობიან მოსახლეობას, — ნათქვამია დეპეშაში,—აწევს იმათ, ვინც სხვა ერების ჯალათებად იქნენ გამოყენებულნი. გერმანელი ხალხის საუკეთესო ნაწილმა უნდა შეიგნოს, რომ იმ საშინელი კონფლიქტის საბოლოო ლიკვიდაციის დროს, რომელიც მრავალ მილიონ მშრომელს იწირავს და მათს აუტანელ ტანჯვას იწვევს, —ეს პასუხისმგებლობა მხედველობაში იქნება მიღებული და მძიმე ტვირთად დაიდება სასწორზე. ამიტომ დროა, დიდი ხანია დროა გერმანელი ხალხის საუკეთესო ნაწილმა თავისი ძალები იქით წარმართოს, რომ გერმანიისათვის მომავალი ადამიანთა იმ საზოგადოების რიგებში დაბრუნების გზა, რომელიც პროგრესიულად ვითარდება.

აკადემიკოსი ლისენკო ლაპარაკობს ჰიტლერულ ფსევდომეცნიერ-რასისტებზე, რომლებიც აყალბებენ ბიოლოგიურ მეცნიერებას იმ მიზნით, რომ ვითომდა მეცნიერულად დაასაბუთონ მზაცური, საზიზღარი ბოდვა „მაღალი“ და „დაბალი“ რასების შესახებ იმ მიზნით, რომ გაჟლიტონ სხვა ეროვნებათა მრავალი და მრავალი მილიონი ადამიანი.

— ჭეშმარიტი მეცნიერება ბუნებას აყენებს ადამიანთა სამსახურში. სისხლისმსმელი ჰიტლერიზმი კი მიზნად ისახავს გამდიდრდეს ადამიანთა ძარცვის, ჩაგვრისა და მოსპობის გზით, მათი დამონების გზით.

ყოველი მეცნიერის მოვალეობაა, სადაც უნდა იყოს იგი, მთელი თავისი ძალები და ცოდნა მოახმაროს იმას, რომ რაც შეიძლება მალე იქნენ განადგურებული მძარცველთა გამხეცებული ჰიტლერული ბანდები, ყოველივე პროგრესიულის და ყოველივე ნამდვილად-დემოკრატიულის ჩამხშობნი.

მთელი ძალები უნდა მოვახმაროთ ჰიტლერიზმის განადგურებას, პროგრესიული კაცობრიობის განთავისუფლებას ფაშისტური ტირანიისაგან!

სიტყვას ამბობს აკადემიკოსი ფრუმკინი.

— თანამედროვე ომში,—ამბობს იგი, —გერმანულმა ქიმიამ მსოფლიოს ჯერჯერობით მიუძღვნა ერთი რამ „ახალი“ —აღმგზნებ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მასობრივი გამოყენება, რომლებსაც გერმანელ ჯარისკაცებს აძლევენ მანამდე, სანამ უეჭველ სასიკვდილოდ გაგზავნიდნენ არტილერიისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლში. ქიმიური რეაქტივები სპობენ გონების ნაშთებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრია მათს ტვინში ფაშისტურ პროპაგანდას. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ უფრო საშინელი და საზიზღარი სურათი, რომელიც უკეთესად გამოხატავდეს, თუ რა არის ფაშიზმი, თუ რა არის ფაშისტური მეცნიერება?

აკადემიკოსმა ფრუმკინმა აღნიშნა საბჭოთა ქიმიკოსების დიდი წარმატებანი და დასძინა, რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომს შორის პერიოდში საბჭოთა კავშირში შეიქმნა მძლავრი ქიმიური მრეწველობა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე.

საბჭოთა ქიმიკოსები მოუწოდებენ მთელი მსოფლიოს მეცნიერებს გამოიყენონ თავისი ცოდნა და გამომგონებლობითი გენია ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ფაშისტური საშიშროების წინაშე, მოსალოდნელ ახალ ბოროტმოქმედებათა წინაშე, მაგალითად, რომ მომწამვლელ ნივთიერებებს გამოიყენებენ, ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, თითქოს მეცნიერება მეცნიერებისათვის არსებობდეს და იგი ნეიტრალური რჩებოდეს. ადამიანებს რომ შეეძლოთ იცოცხლონ და იაზროვნონ, ამისათვის ამჟამად საჭიროა გადავწყვიტოთ მხოლოდ ერთი ამოცანა—ფაშიზმის მოსპობის ამოცანა.

სიტყვა ეძლევა პროფესორ ა. კ. ტიმირიაზევს.

—ამ მრისხანე დღეებში,—აცხადებს პროფესორი ტიმირიაზევი, — როდესაც გერმანიის ფაშიზმის ურდოები უდიდესი ზარალისა და განწირულის ღონისძიებათა ფასად ცდილობენ გამოიჭრან ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებისაკენ, ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, ჩვენს ხალხთან ერთად, ჩვენს სახელოვან წითელ არმიასთან ერთად ვაცხადებთ, რომ მზადა ვართ მთელი ჩვენი ძალები, მთელი ჩვენი სიცოცხლე მოვახმაროთ ბრძოლას ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის.

აკადემიკოსი გოტიე თავის სიტყვაში აცხადებს:

— რაკი ჰიტლერისა და მისი თანამზრახველების მიერ მოწამლული გერმანელთა ურდოები ცდილობენ კაცობრიობა დაიმონონ, ჩვენი ვალია მტკიცედ, მამაცურად და შეუდრეკლად განვაგრძოთ ბრძოლა მანამდე, სანამ მთელი კაცობრიობისათვის არ მოისპობა საშიშროება, რომელიც ჰიტლერელ ბანდიტებს მოაქვთ.

მამაცობა, ორგანიზებულობა, შეუდრეკელი სიმტკიცე! ამ მხრივ ჩვენ დახმარებას გაგვიწევენ ჩვენი მოკავშირე ქვეყნების მოწინავე მეცნიერები.

ტრიბუნაზეა აკადემიკოსი კელერი. იგი ამბობს, რომ სსრ კავშირში აყვავდა ეროვნული კულტურები და, როგორც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თურქმენეთის ფილიალის თავმჯდომარე, აღწერს საბჭოთა თურქმენეთის უდიდეს წარმატებებს.

საბჭოთა მეცნიერები თავისი მთავრობის მოწოდებით მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მთლიანად მოახმარებენ მთელ თავის ძალებსა და ცოდნას, ხოლო, როცა საჭირო იქნება, სიცოცხლესაც შესწირავენ თავისი მშვენიერი სამშობლოსათვის ბრძოლას, თავისუფალი ხალხების ყოველგვარი სამეურნეო და კულტურული განვითარების უბოროტესი მტრის წინააღმდეგ, სისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. წითელი არმია ფაშისტთა ურდოებს გაანადგურებს. და ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებმა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ჰიტლერიზმის განადგურება მოვაახლოოთ.

დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა ორატორის სიტყვას.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გერმანელმა მეცნიერმა, ანტიფაშისტმა, ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილმა პროფესორმა კრონფელდმა.

მეცნიერული ფსიქიატრიის თვალსაჩინო მოღვაწე, იგი აღშფოთებით ლაპარაკობს, რომ ჰიტლერული ფაშიზმი უტიფრად აყალბებს მეცნიერების ამ დარგს და ბოროტად იყენებს მას პოლიტიკური მიზნით.

შეკრებილნი ხშირად ტაშით აწყვეტინებდნენ ორატორებს მხურვალე პატრიოტულ სიტყვებს, რომლებიც გაისმა როგორც მგზნებარე მოწოდება ულმობელი ბრძოლისაკენ ფაშისტი კაციჭამიების წინააღმდეგ, მეცნიერების, კულტურისა და პროგრესის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ.

მიტინგზე წაიკითხეს მრავალი მისასალმებელი დეპეშა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეებისაგან. მიტინგის მონაწილენი დიდი ოვაციებით შეხვდნენ ამ მისალმებებს, რომლებიც გამოხატავენ მთელი მსოფლიოს ინტელიგენციის ძმურ სოლიდარობას ფაშისტი მტარვალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

უდიდესი აღფრთოვანებით იქნა მიღებული მიმართვა მთელი მსოფლიოს მეცნიერებისადმი. (საქდესი).

ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში ინგლის-საბჭოთა პროფკავშირული კომიტეტის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად

ა. წ. 13 ოქტომბერს მოსკოვს სრული შემადგენლობით ჩამოვიდა ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის დელეგაცია ინგლის-საბჭოთა პროფკავშირული კომიტეტის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად.

ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ფრანკ უოლსტენკროფტი—ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის თავმჯდომარე, ვალტერ სიტრინი — ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური მდივანი, ჯ. პ. ალენი—ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის წევრი და მემანქანეთა და ცეცხლფარეშთა კავშირის გენერალური მდივანი, ა. კონლეი — ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის წევრი და თერძთა და მკერვალთა კავშირის გენერალური მდივანი, ჰ. ნ. ჰარისონი—ინგლისის ტრედ-უნიონთა კონგრესის წევრი და სახელმწიფო და მუნიციპალურ მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი, და დელეგაციის მდივანი ერნსტ ა. ბელი.

მოსკოვში დელეგაციას შეხვდნენ პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. ს. ლ. ბრეგმანი, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. პ. ი. ბოგოიავლენსკი, ცენტრალური რკინიგზების მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. პ. ტარასოვი და სამკერვალო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ს. მალკოვა.

ინგლისისა და გერმანიის ომი

ლონდონი, 13 ოქტომბერი (საქდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 12 ოქტომბერს, ღამით, მტრის ავიაცია ინგლისში კვლავ უმნიშვნელო აქტივობას იჩენდა. დაბომბეს რამდენიმე პუნქტი ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ინგლისში, სადაც არის ადამიანთა მსხვერპლი. დანარჩენ ადგილებში ზარალი უმნიშვნელოა. მოსპობილია მტრის 1 თვითმფრინავი.

12 ოქტომბერს, ღამით, გერმანიას თავს დაესხა ინგლისის 300-ზე მეტი საბომბური. თავდასხმის ერთერთი ძირითადი ობიექტი იყო ნიურნბერგი, სადაც მნიშვნელოვანი სამხედრო ქარხნებია. გააფთრებული დაბომბვა ხელსაყრელ ამინდში ხდებოდა. ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ გერმანიაში, უფრო ნაკლებ ხელსაყრელ ამინდში, ინგლისის საბომბურების დიდი შენაერთი თავს დაესხა მთელ რიგ ობიექტებს, უმთავრესად ბრემენის ნავსადგურს. თავის ბაზაში არ დაბრუნებულა ინგლისის 11 საბომბური.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 13 ოქტომბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 12 ოქტომბერს, ღამით, ინგლისის თვითმფრინავებმა დაბომბეს ობიექტები ბავარიაში, რაინის ოლქსა და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში.

ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 12 ოქტომბერს, დღისით, ინგლისის საბომბურებმა იერიში მიიტანეს ბულონის დოკებზე. ბომბები პირდაპირ მოხვდა დოკებსა და რკინიგზის ვაკისს. გაჩნდა დიდი ხანძარი. ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს მტრის 4 ავიაგამანადგურებელი, თვითონ კი 2 მანქანა დაჰკარგეს. ინგლისის საბომბურების მეორე შენაერთმა იერიში მიიტანა მტრის გემთა ქარავანზე ჰოლანდიის სანაპიროსთან. ჩამოგდებული ბომბები მოხვდა ტანკერსა და დიდ სატვირთო გემს. ამ ოპერაციებიდან თავის ბაზაში არ დაბრუნებულა ინგლისის 2 საბომბური. უფრო გვიან, დღისით, ინგლისის ავიაგამანადგურებლები, ლამანშის სრუტის შეიარაღებული ზვერვის დროს, მტრის ავიაგამანადგურებლებს წააწყდნენ. გამართული საჰაერო ბრძოლის შედეგად ჩამოგდებულია მტრის 3 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაგამანადგურებლებს ზარალი არ მოსვლიათ.

მძიმე სასურსათო მდგომარეობა გერმანიაში

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი (საქდესი). ოვერსის ნიუსის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გერმანიაში გაძნელდა სატრანსპორტო მოძრაობა, სულ უფრო მწვავედ გრძნობენ სურსათისა და ტანსაცმლის ნაკლებობას. გერმანული გაზეთი „კენიგსბერგერ ალგემაინე ცაიტუნგი“ მოსახლეობას მოუწოდებს, რათა შეურიგდეს პროდუქტების ნაკლებობას, რასაც უკავშირებს ცუდ მოსავალსა და სატრანსპორტო სიძნელეს. მოსახლეობა სულ უფრო-და-უფრო ხშირად არღვევს სურსათის განაწილების წესებს. გერმანიის პრესა ამასწინათ იუწყებოდა: ქალების ჯგუფი თავს დაესხა სურსათით დატვირთულ 5 მანქანას. გაზეთი „ახენერ ცაიტუნგი“ გაფრთხილებას იძლევა: მკაცრი ზომები იქნება მიღებული, უკეთუ ქალაქის მოსახლეობა სურსათის შესყიდვას განაგრძობს სოფლებში ან სპეკულანტებისაგან. გერმანიაში ძალიან გახშირდა ყალბი სასურსათო ბარათების გაყიდვა.

იუგოსლაველი ხალხის ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ

სტამბოლი, 12 ოქტომბერი (საქდესი). ყოველკვირეული ბიულეტენ „იუგოსლავსკი გლასნიკის“ ცნობით, ჩერნოგორიელებმა თითქმის მთლიანად გასწმინდეს თავიანთი ქვეყანა იტალიელებისაგან და ახლადშეთითხნილი „მთავრობისაგან“. როგორც ცნობილია, იტალიის მთავრობის კომისარი მაცოლინი იტალიაში გაიქცა. გერმანიის სტამბოლის საკონსულომ ერთ მუსლიმანს, რომელმაც მოისურვა ქ. ბარში (ჩერნოგორია) წასვლა, უპასუხა: ვიზას ვერ მოგცემთ, რადგან არ ვიცით, თუ ვის ხელშია არა მარტო ბარი, არამედ ქალაქები—ცეტინე და პოდგორიცაო.

ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა სერბიაშიც. გერმანელებს არა აქვთ ცნობები, თუ რა ქალაქებსა და სოფლებს უწევენ კონტროლს გერმანელთა ჯარები და ნედიჩის „მთავრობა“. საოკუპაციო ხელისუფალნი ვერა ბედავენ სერბიის სოფლებსა და დაბებში გამოჩენას ისე, თუ ძლიერი შეიარაღებული მცველი რაზმები არ ახლავთ თან.

დავუმზადოთ თბილი ტანსაცმელი წითელ არმიას

თბილი ტანსაცმელი წითელარმიელებს

სტალინირი („კომუნისტის“ კორ.). სამხრეთ-ოსეთში დიდი წარმატებით მიმდინარეობს წითელი არმიის მებრძოლებისა და მეთაურებისათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება.

10 ოქტომბრისათვის შეგროვილი იყო: 2.138 წყვილი მატყლის ხელთათმანი, 7.254 წყვილი მატყლის წინდა, 1.074 წყვილი საცვლები, 2.603 ცხვრის ტყავი, 1.379 კილოგრამი მატყლი, 487 თბილი პერანგი, 2.191 პირსახოცი, 3.580 წყვილი ფეხსახვევი, 907 ზეწარი და სხვა მრავალი.

თბილი ტანსაცმლის შეგროვება განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს სტალინირისა და ლენინგორის რაიონებში.

ფ. ზასეევი

• • •

ჭიათურა („კომუნისტის“ კორ.). ქალაქ ჭიათურაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს წითელი არმიის მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება. 8 ოქტომბრისათვის ქალაქში, მარგანეცის მრეწველობის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიერ შეგროვილი იყო: 66 ცალი ქურთუკი, 568 ცალი სვიტერი, 187 წყვილი წინდა, 150-მდე თბილი ხელთათმანი, 72 ცალი დაბამბული შარვალი, 150-მდე თბილი საცვალი, 50 წყვილი ნაბდის ჩექმა და მრავალი სხვა.

წითელ მებრძოლთათვის თბილი ტანსაცმლის შეგროვება კვლავ დიდი წარმატებით გრძელდება.

ვ. ჩიქოვანი

• • •

მცხეთა („კომუნისტის“ კორ.). თბილი ტანსაცმლისა და თეთრეულის შემგროვებელმა რაიონულმა კომისიამ წითელი არმიისათვის უკვე გაგზავნა 1.080 წყვილი წინდა, 69 დაბამბული ქურთუკი, 468 სვიტერი, ჯემპრი და თბილი პერანგი, 47 ტყავის ქურქი, 520 წყვილი ნაბდის ჩექმა, 280 თბილი ქუდი, 11 მაზარა, 250 წყვილი თბილი ხელთათმანი, 28 წყვილი ტყავის ხელთათმანი, 24 ცალი პერანგი, 25 ცალი ზეწარი, 79 ბალიში, 84 ბალიშისპირი, 589 პირსახოცი, 239 მაისური, 169 წყვილი წინდა, 488 ცალი ცხვირსახოცი, 44 ცალი თბილი ხალათი, 17 წყვილი ქვედა საცვალი, 77 ცხვრისა და თხის ტყავი.

თბილი ტანსაცმლისა და თეთრეულის შეგროვება წარმატებით გრძელდება.

დ. რთველიაშვილი

თავდაცვის სახალხო ფონდი

პრემიები თავდაცვის ფონდში შეაქვთ

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში არნახულ შემოქმედებითს ინიციატივას იჩენს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის საბარგო-სავაგონო საამქროს კოლექტივი. მოწინავე ზეინკლებს, ხარატებს, ოსტატებს შემოაქვთ ძვირფასი რაციონალიზატორული წინადადებანი, რომლებიც აუმჯობესებენ წარმოების პროცესს, ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, ქარხანას აძლევენ მრავალ ათას მანეთ ეკონომიას. აღსანიშნავია ისიც, რომ რაციონალიზატორებს კუთვნილი პრემია ჩვენი სამშობლოს თავდაცვის ფონდში შეაქვთ.

ამხ. ე. ცარიევმა ამასწინათ შემოიტანა წინადადება — საბარგო ვაგონის ძველი საპასპორტო ყუთები ახალ ვაგონზე გამოეყენებინათ. წინათ ასეთ ყუთებს ჰყრიდნენ, ახლა კი მათ მაქსიმალურად იყენებენ და ამით 7.265 მანეთი იზოგება. ამ წინადადების განხორციელებით ამხ. ცარიევს 450 მანეთი პრემია ეკუთვნოდა, მან ეს თანხა სამშობლოს თავდაცვის ფონდში გადარიცხა.

შესანიშნავი წინადადება შემოიტანა ოსტატმა ამხ. ფ. ზაპრუცკიმ. წინათ ვაგონის საბერკეტო ნაწილებს ხმარების შემდეგ ჰყრიდნენ. ამხ. ზაპრუცკის წინადადებით კი ამ ნაწილებს ახალი ვაგონების რემონტისას იყენებენ. ეს პროცესი იმანაც დააჩქარა, რომ მექანიკურ საამქროში არის დაზგა, რომლითაც შეიძლება ნახმარი საბერკეტო ნაწილების გაჩარხვა-დამუშავება. ეს წინადადება წლიურად 23.547 მანეთის ეკონომიას იძლევა. ამხ. ზაპრუცკის მეორე წინადადებაც ეკუთვნის, იგი მძიმეწონიანი ვაგონების ნაწილების გამოყენებაში მდგომარეობს. ამხ. ზაპრუცკის წინადადებით ამ ნაწილებს სათანადო დამუშავების შემდეგ ხელახლა უკეთებენ ვაგონს. ეს დროის, მუშა-ხელისა და ლითონის დიდძალ ეკონომიას იძლევა. რაციონალიზატორს მიღებული პრემია თავდაცვის ფონდში შეაქვს.

დიდად აუმჯობესებს წარმოების პროცესს ზეინკალ ამხ. თ. ონოშკოს წინადადებაც. მან დაამზადა ხელსაწყო, რომელიც ძალიან აადვილებს ვაგონის წევსაბჯელების გადაბრუნებას, რაზედაც დიდი დრო და შრომა იხარჯებოდა.

მეტად ნაყოფიერია აგრეთვე ოსტატ ამხ. თ. სუხიშვილის და მექვაბე ამხ. გ. მდივანოვის წინადადებანი.

მისალმება საბჭოთა ხალხისადმი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელზე მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ლეოპოლდვილში (ბელგიის კონგო) მცხოვრები ბელგიელები—1914-1918 წლის ომის მონაწილენი—უდიდეს აღტაცებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ წითელი არმია და საბჭოთა ხალხი სახელოვან და გმირულ წინააღმდეგობას სწევიან, რაც უზრუნველჰყოფს საბოლოო გამარჯვებას ფაშიზმზე“. (საქდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა საბერძნეთის დესპანი სსრ კავშირში ბ-ნი პიპინელისი

ა. წ. 14 ოქტომბერს მოსკოვში ჩამოვიდა საბერძნეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი პიპინელისი. კურსკის სადგურზე ბ-ნ პიპინელისს შეხვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი.

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა მოსკოვზე

14 ოქტომბერს ღამით გერმანიის თვითმფრინავების ჯგუფმა სცადა მოსკოვზე თავდასხმა. საზენიტო ბატარიების ცეცხლმა და ღამის ავიაგამანადგურებლებმა მტრის თვითმფრინავები მოსკოვის მისადგომებზე გაჰფანტეს. ერთეულმა თვითმფრინავებმა ქალაქის რაიონში ჩამოაგდეს რამდენიმე ფუგასური და მცირეოდენი ცეცხლწამკიდი ბომბი. გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა.

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე (დასასრული)

მძიმე ბრძოლებისთვისო“. არა მარტო გერმანიის პროპაგანდის სამინისტრო, არამედ გერმანიის უმაღლესი სარდლობაც არ ერიდება იმას, რომ მიმართოს სიცრუეს, რათა უკეთესად წარმოადგინოს და შეალამაზოს აღმოსავლეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობა.

მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე ძალიან სერიოზულია, მაგრამ მოსკოვში და მთელ საბჭოთა კავშირში სუფევს სრული და აბსოლუტური რწმენა იმისა, რომ გერმანელებს შეუძლიათ ბევრად უფრო მეტი თავისი ხალხი გასწყვიტონ, მაგრამ მოსკოვი საბჭოთა ქალაქი დარჩება, რამდენიც არ უნდა იყეფონ ამის შესახებ ნაცისტებმა და მათმა ხელქვეითებმა. როდესაც მაიმუნ გებელსის წრიპინა ხმა ხმამაღლა მოლაპარაკე რადიოაპარატებისა და ვასალური რადიოსადგურების და გაზეთების მეოხებით ყროყინად იქცევა, მე მახსენდება ძველი სპარსული ანდაზა: „ყროყინს რომ ფასი ჰქონდეს, მაშინ ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი ცხოველი ვირი იქნებოდაო“.

(მიღებულია რადიოთი საქრადიოკომიტეტის მიერ).

ფაშიზმი აღგვილ იქნება პირისაგან მიწისა

სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხები ეწევიან, არის ომი თავისუფლებისათვის, ღირსებისათვის, ჰიტლერიზმის უღლისაგან მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის. გერმანული ფაშიზმი მთელი პროგრესიული კაცობრიობის უბოროტესი მტერია. მან მოაოხრა და ფეხქვეშ გასთელა სამეცნიერო და კულტურული ცენტრები, უკუნეთში ჩააგდო დამონებული ქვეყნების ხალხები.

მთელი მოწინავე კაცობრიობა ერთიანდება წყეულ ფაშიზმთან საბრძოლველად. გმირ წითელ არმიასთან ერთად, წითელ არმიასთან, რომელიც გამანადგურებელ ლახვარს სცემს სისხლისმსმელ ფაშისტთა ურდოებს, ჩვენი სამშობლოს სიმდიდრეებისაკენ რომ მოისწრაფვიან, თვითეული საბჭოთა მეცნიერი თავის პოსტზე თავგანწირულად შრომობს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი და სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ლაბორატორია, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობ, ისწრაფვიან რა კონკრეტული დახმარება აღმოუჩინონ სახელოვანი წითელი არმიის მებრძოლ-მეთაურთათვის ჭრილობების მკურნალობის საქმეში, გამოიმუშავებენ ადამიანის თავის ტვინის ელექტრული აქტივობის გამოკვლევის მეთოდიკას, რომელსაც უკვე წარმატებით ვიყენებთ ტვინის დაჭრის, კონტუზიისა და ტვინის სხვაგვარი დაზიანებების დიაგნოსტიკისათვის.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერთ, ღრმად გვრწამს, რომ მოახლოვებულია ჰიტლერიზმის აღსასრული, რომ მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გაერთიანებული ძალებით სისხლიანი ფაშიზმი აღგვილ იქნება პირისაგან მიწისა.

ვუერთდები მოსკოვის მეცნიერთა ანტიფაშისტური მიტინგის მიმართვას და ჩემი მხრივ, არ დავზოგავ ძალასა და ცოდნას და ხელს შევუწყობ იმას, რომ საბოლოოდ დაიმსხვრეს ჰიტლერის გეგმა —ხალხთა სათითაოდ დამონებისა.

აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი

სტალინის პრემიის ლაურეატი. (საქდესი).

გავანადგუროთ პირსისხლიანი ფაშიზმი

ვუერთებ რა ჩემს ხმას მოსკოვის მეცნიერთა ანტიფაშისტური მიტინგის რეზოლუციას, ურყევად მრწამს ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მრავალმილიონიან მოქალაქეთა და მისი ძლიერი, უძლეველი წითელი არმიის ძალა და ძლიერება, წითელი არმიისა, რომელიც გერმანული ფაშიზმის ნანგრევებზე ყოველ პირობას შეჰქმნის იმისათვის, რომ დამყარდეს მსოფლიოს ყველა ხალხთა მშვიდობიანი, სამართლიანი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანაცხოვრება და თანამშრომლობა. სწორედ ამ მიზანს, მშასადამე, სისხლიანი ჰიტლერიზმის განადგურებას უნდა ვემსახურებოდეთ ჩვენ, მეცნიერნიც, რომელნიც მზად ვართ ყველაფერი შევწიროთ სამართლიანობის გამარჯვების საქმეს, ძალადობის მოსპობის საქმეს. ძირს ფაშიზმი, გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარული დემოკრატიული ქვეყნების კოალიციას!

კ. კეკელიძე

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. (საქდესი).

გეგმის შესრულება

ზუგდიდი (ტელეგრამით). ზუგდიდის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 13 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებულია და სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია 256.500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, ანუ გეგმის 101 პროცენტი.

აბრეშუმის პარკის დამზადება გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი გ. ჩაჩიბაია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. საჯაია

დაიწყეს მანდარინის შერჩევითი კრეფა

ბათუმი (საქდესი). ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობა 13 ოქტომბერს შეუდგა მანდარინის შერჩევით კრეფას. კრეფაზე გამოვიდნენ მეხუთე და მეექვსე ბრიგადა, რომელთაც ხელმძღვანელობს ციტრუსებისა და ჩაის დიდი მოსავლის ოსტატი ამხ. ქურიძე. პირველ დღეს მათ 5 ათასზე მეტი მანდარინი მოჰკრიფეს.

შრომის ნაყოფიერების ნიმუშებს გვიჩვენებენ ამხ. ოკრემენჩუკი, კვირხელიძე და პაიჭაძე. ბრიგადები ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეასრულონ მანდარინის კრეფის [illegible]

[illegible]

[illegible]

ჟურნალი „ბოლშევიკი“ № 9

[illegible]

ლექცია

[illegible]

თეატრები

[illegible]

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ.—„საბრძოლო კინოკრებული № 4“, ოქტომბერი—„მეღორე“, დამკვრელი—„საბრძოლო კინოკრებული № 4“, კომკავშირელი—„გამარჯვებულებს მოგელით“, სპარტაკი—„იაკობ სვერდლოვი“, ლუქსემბურგის სახ.—„სიმღერა სიყვარულზე“, განთიადი—„კაცი რესტორანიდან“, კომინტერნი — „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება“, 26 კომ. სახ.— „დიდი ვალსი“, ვოროშილოვის სახ.—„მეკარე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გაზ. „კომუნისტზე“ ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატში“ და ფოსტაში. გამომცემლობა „კომუნისტი“ ხელისმოწერას არ ღებულობს. გამომცემლობა „კომუნისტი“.

თბილისის ქალაქის საბინაო სამმართველო იუწყება იაგორ ალექსის-ძე ჭელიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ბახვში. 12473

ქვენატკოცის არასრული საშუალო სკოლა იუწყება მასწავლებელ მარო გიორგის-ასულ ურუტაძის გარდაცვალებას. 12472

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამოშვების — 3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 41413